პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ჟურნალი 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 23 დეკემბერი № 298 (17038) ფასი 2 კაპ. 1977

**საბჭოთა უკრაინა ზეიმობს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს.**

**გულითადად ვულოცავთ მოძმე უკრაინელ ხალხს ამ დიად დღესასწაულს!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბრის ყოველი დღე — დამკვრელური!

## წლის დამლევს — საქმე გამოგვაჩინოს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებებს დიდი ინტერესით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ამ დოკუმენტების მიხედვით სახავენ შრომითი კოლექტივები მომავალი წლისა და მოლიანად ხუთწლედის გეგმების შესრულების ღონისძიებებს; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რეზერვების ამოქმედების, უმცირესი დანახარჯებით უდიდესი შედეგების მიღწევის, მოწინავე გამოცდილების დაპერგვისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საკითხებს.



სურათზე: ზაჰესის კაშხალი. ვლ. გინზბურგის ფოტო.

# ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის პირმშო

### შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ზაჰესის ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ზაჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემის 50-ე წლისთავს.

ზაჰესი საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის დიადი ლენინური გეგმის პირმშოა, რომელმაც დასაბამი მისცა მდინარეთა ენერგიის ფართოდ გამოყენებას და საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის ძლევამოსილ ენერგეტიკულ ბაზის შექმნას. მისი აშენება იყო ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების პირველი გაბედული და თვალსაჩინო ნაბიჯი ახალი საქართველოს მშენებლობაში. ზაჰესი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა საქართველოს ისტორიაში როგორც დიდი ლენინის უკვდავი იდეების გამარჯვების სიმბოლო, საბჭოთა ხალხის ძმობისა და ურღვევი ერთიანობის შესანიშნავი მაგალითი.

50 წლის განმავლობაში ზაჰესმა გამოიმუშავა 9 მილიარდამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია, საშუალო-წლიური გამომუშავება შეადგენს 200 მილიონ5 კილოვატსაათს, რაც საგრძნობლად აღემატება პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებელს. ზაჰესის სახელოვანი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია ისიც, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ხადგური მუშაობს უავარიოდ და წუნის გარეშე.

ზაჰესის დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის გამოცდილებაზე აღიზარდნენ ქართველ ჰიდროენერგომშენებელთა მთელი თაობები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სამამულო ენერგეტიკული მეურნეობის განვითარებაში. ბევრი მათგანი ამჟამადაც განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის ზაჰესის კოლექტივი, მჭიდროდ დარაზმული ბოლშევიკური კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, კვლავაც დაუცხრომლად იშრომებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის მითითებების, ეკონომიკურ ხუთწლედის გეგმების და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ზაჰესის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**რესპუბლიკის** ენერგეტიკის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, საექსპლოატაციოდ გადაცემის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგური (ზაჰესი) დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 21 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს (საქმთავენერგოს) მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

**მიღწეული** შრომითი წარმატებებისათვის, ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) საექსპლოატაციოდ გადაცემის ორმოცდაათ წლისთავთან და ენერგეტიკოსის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს მუშაკთა ჯგუფს მიენიჭოს საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:**

შოთა ალექსანდრეს ძე კვასხვაძეს — ენერგოგასაღების მთავარ ინჟინერს.

ვექტორ გიორგის ძე ლაფანაშვილს — ზაჰესის კასკადის მთავარ ინჟინერს.

ვახტანგ დანიელის ძე ქინქლაძეს — თბილისის ელექტროქსელის დირექტორს.

ტოგო მირიანის ძე ხაბეიშვილს — ზაჰესის კასკადის ელექტროსამანქანო საამქროს უფროსს.

გიორგი მუხრანის ძე ხოკოლავას — ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობის დირექტორს.

**საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:**

ვახტანგ ალექსანდრეს ძე ამირანაშვილს — ზაჰესის კასკადის ზეინკალს.

გიორგი ისიდორეს ძე გობაანძეს — ზაჰესის კასკადის უფროსოსტატს.

გიორგი სიმონის ძე დიბლიას — ზაჰესის კასკადის უფროს ოსტატს.

ალექსანდრე პეტრეს ძე ყიგულინს — თბილისის ელექტროქსელის ელექტრომონტიორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 21 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქმთავენერგოს“ მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**მიღწეული** შრომითი წარმატებებისათვის, ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) საექსპლოატაციოდ გადაცემის ორმოცდაათ წლისთავთან და ენერგეტიკოსის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს მუშაკთა ჯგუფი ჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ელადიმერ თეოდორეს ძე აბაშიძე — შრომის, მართვისა და ხელფასის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების სექტორის უფროსი.

კონსტანტინე ფილიპეს ძე გაგნიძე — ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი.

თამაზ ისაკის ძე გამცემლიძე — ზაჰესის კასკადის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

აარონ გიორგის ძე გარსევანიძე — თბილისის ელექტროქსელის მრიგადირი.

სურენ ასატურის ძე ვართანიანი — სომხმთავენერგოს უფროსი, ზაჰესის კასკადის ყოფილი მორიგე ინჟინერი.

ელიზავეტა ივანეს ასული ლევიტასი

# ენგურის საახალწლო რიტმი

(დასასრული)

ქაშხალის მშენებლები დღე-ღამეში 1.400-1.500 კუბურ მეტრ ზემტკიცე ბეტონს აწყობენ. მკვიდრია ქაშხალში ჩაწყობილი ბეტონი. თავისი სიმკვრივისა და ერთგვაროვნების მეშვეობით მას შეუძლია ყოველგვარ დატვირთვას გაუძლოს.

მეცნიერება მკაცრ კონტროლს უწევს მშენებელთა თითოეულ ნაბიჯს, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. სიმტკიცეზე ამოწმებენ არა მარტო ბეტონს, არამედ ლითონსაც. აანალიზებენ ცემენტს, ხრეშს, ქვიშას, ყველა ინერტულ მასალას, ნარევსა და შემსებს. საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იკვლევენ ბეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ჩამოყალიბების პროცესებს, აზუსტებენ მის შედეგნილობასა და დაბეტონების ტექნოლოგიას.

ბეტონისა და ცემენტის სამუშაოთა ხარისხისადმი კონტროლს სამშენებლო ობიექტებზე ახორციელებენ ნატურული დაკვირვების განყოფილების თანამშრომლები. ქაშხალის ბეტონის ბლოკების ჩაწყობის სამუშაოთა სისტემატური ინსპექციის შედეგად მათი ხარისხი შეესაბამება პროექტის გადიდებულ მოთხოვნებს.

როცა ამბობენ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურს მთელი ქვეყანა აშენებსო, მხედველობაში აქვთ არა მარტო ის 120 ქალაქი, რომლებიც მას მოწყობილობასა და სხვადასხვა მასალას აწვდიან, არამედ ამ სამრეწველო ცენტრების სამეკონომიკო ორგანიზაციებიც.

სწორედ წარმოებაში მეკონომიკური ეგზაქტობის ფართო გამოყენებამ შეუქმნა ენგურის მშენებლობას ევროპაში ჰიდროშენებლობის საჩვენებელი სკოლის სახელი.

უწყვეტ ნაკადად, დღისით და ღამით მოდის დიდი ბეტონი ქაშხალზე. ბეტონის ზემო ქარხნის ბუნკერებიდან ოვი კაბელ-ამწეებით რვა კუბომეტრიან ბადიებთან მიაქვთ სპეციალურ ავტომატურ მატარებლებს, ხოლო ქვედა ქარხნიდან — კიდული სამაგრო გზის ვაგონებსა და 27-ტონიან „ბელაზებს". წლის დამლევამდე მარტო ზედა ქარხანა ქაშხალს მისცემს სულ ცოტა 250 ათას კუბურ-მეტრ მაღალხარისხოვან სპეციალურ ბეტონს.

დღეს ჰიდროტექნიკური კვანძის სათავე ნაგებობაზე ყველა უბანი დამკვრელურია. ყველა სამშენებლო ქვეგანაყოფის კოლექტივი შემჭიდროებული ამუშაებისწინა გრაფიკით მუშაობს. მათ წინაშე რთული ამოცანები დგას, რომელთაგან უმირველესია მომავალი წლის გაზაფხულისათვის თაღოვანი ქაშხალის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემა, ამასთან „410" ნიშნულამდე წყალსაცავის შევსება, 15 კილომეტრი სიგრძის სადაწნეო გვირაბისა და ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა შენობის ამოქმედება. ამისათვის საჭიროა თაღოვანი ქაშხალის ტანში, მიწისქვეშა ნაგებობებში, ქვედა ბიეფის სამაგრებში ჩაწყოს 700 ათას კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი, შესრულდეს სიცარიელეებს. ნაკერების ამოვსების საცემენტო და კოლოვანი თერდობების გამაგრების დიდი მოცულობის სამუშაოები. 20 ათას ტონაზე მეტი მარტო ლითონკონსტრუქციები და მოწყობილობა დამონტაჟდება. ქაშხალის ჭიშკის სიმაღლე საცაა მიაღწევს ასამუშავებელი დონის ნიშნულს. აქ უკვე დამთავრდა მზადება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ოპერაციისათვის, როგორიცაა 700 ათასი კუბური მეტრი მოცულობის ბეტონის ნაწყობის გაცივება.

მთავრდება ლითონის წყალსაგდები ხვრელების დამონტაჟება ადგილზე ქაშხალის ქვემო ბიეფის გამაგრება. აქ ასი მეტრი სიმაღლიდან წყალი სპეციალური ხვრელის გავლით ქაშხალში გადადგება. აქ შენდება და მონტაჟდება საკეტების სამართავი შენობა. ამ მრავალტონიანი ლითონის კონსტრუქციების საშუალებით განხორციელდება წყლის გადაგდება და წყალსაცავის ავსება. ობიექტი 190 მეტრ სიმაღლეზე იგება სპეციალურად მშენებარე კონსოლზე.

მტკიცეო მიდიან წინ ფასახული მიზნისაკენ ჰიდროშენებლები. ისინი ყოველ ლონეს ხმარობენ, რათა მომავალი წლის დეკემბერში სამრეწველო დატვირთვით ამუშაონ ენერგეტიკული გიგანტის მთავარი ელექტროსადგურის ძალური კვანძის სამი აგრეგატი. მათი საერთო სიმძლავრე 780 ათასი კილოვატია.

ამიტომ ახლა ყველაზე „ცხელი წერტილი", ყველაზე ძნელი ობიექტი დიდი განივკვეთის სადაწნეო საოერიგაციო გვირაბის პირველი საბრეკვეა. ეს არის 15-კილომეტრიანი გვირაბის სათავე ნაწილი, რომლითაც ენგურის წყალი წყალსაცავიდან მიეა ასადგის ხვრელი ჰიდროელექტროსადგურის ტურბინებთან.

რთული გეოლოგიური პირობების მოთხოვდაო 200-მეტრიან მიწისქვეშა გალერეაში სწრაფი ტემპით წარმოება სატორკრეტო და საინექციო სამუშაოები. იმ მომენტისათვის, როცა ქაშხალი პირველ საპრიქტო ნიშნულს მიაღწევს, გვირაბი მზად იქნება წყლის გასაშვებად.

ენგურის ტალღები კი უკვე მოგაგალი ჯვრის ზღვის ფსკერზე მიგორავენ. ამ სასიხარულო მოვლენას მიეძღვნა 22 დეკემბერს გამართული სხდომა მიტინგი.

მაშ ასე, მაღლიდან თაღოვანმა ქაშხალმა სამუდამოდ გადაჭრა ეთის ბედნიერ. რთული სინჟინერ-გეოლოგიური და კლიმატური პირობების მიუხედავად მოკლე ვადაში დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა. დამუშავებული ია ზედა ბიეფიდან ბეტონი 40 ათასი კუბური მეტრი ანდეზიტი გრუნტი. დამთავრდა თაღოვან ქაშხალზე მიმდინარე ყველა საკონტროლო სამუშაო, რომელიც მიიბარის გადახიდვასთან ერთ დაკავშირებული. ზედა ბიეფის სამშენებლო ხვრელების საკეტის ხის სარქველი ნაწილურად იყო დამზადებული. ამავე ფრონტზე ქვედა ბიეფიდან დამუშავებული და ბეტონილია 500 ათას კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი. გამზადებულია სატუმბი დანადგარები. წყალსაგდები ჭის ავების სამუშაოთა ტემპი დიკვნების დამლევიდან ერთიორად დაჩქარდა. თვის პირველ ნახევარში მთლიანად დამთავრდა მიწის სამუშაოები, „ოთხადზე" ჩაიბარა სამუშაო კომისიამ სამი ხვრელი, დამონტაჟებულია სამშენებლო გვირაბის გადასაფარი.

ეიოლად როდი მოიპოვა ეს გამარჯვება მშენებლობის მბრძოლთასანებმა ინტერნაციონალურმა კოლექტივმა. ჯერ კიდევ წლის დამდეგს, როცა ჰიდროშენებლები წელი წარმატება და კოლექტივის წევრთა ყურადღება გამახვილა გადასწყვეტ ამოცანებზე.

მატრანგზე გამოიყენეს მაღლივი ქაშხალის სამშენებლო სამმართველოს ეფორესი ბ. ბერეკი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი კ. ყვარაცხელია, მექანიკოსი ვ. სიმონენი, ენგურის ელექტროსადგურის კომბინატის მუშა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოპერატორი ნ. ვარტანი. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ელექტროშემონტაჟი ფ. მაზმიშვილი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს „მთავარჰიდროენერგოშენის" მთავარი სპეციალისტი მ. ნიტარეია, მფრინავი კ. ლორთქიფანიძე.

მატრანგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები, პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდგრენები, საქალაქო და რაიონული ალმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს ჰიდროშენებლობის ლიტერანები.

მიტინგი მოკლე შესავალი სტატიით გახსნა ენგურჰესების მშენებლობის პარტკომის მდივანმა ა. ჭეიშვილმ. მან მოხსენებისათვის სიტყვა მისცა ენგურჰესის მშენებლობის ოფიროსს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მ. ციხარიშვილს, რომელმაც მშენებლებს მოილოცა მიღწეული საიუბილეო წლის გეგმებსა და ვალდებულებებს ისაუბეინენ, მათ სიტყვა დადეს, რომ ენგურის გადახიდვიდნენ 22 დეკემბერს — ენერგეტიკოსის დღეს. და აი, თვითონ ტრადიციულ დღესასწაულზე ისინი სამშობლოს ოპერაციებს, რომ წარმატებით შესრულეს გეგმები და ვალდებულებანი. მშენებლობაზე, აქ, სადაც მაღლივი თაღოვანი ქაშხალი შენდება, გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მდინარე ენგურის გადახიდვასა და ჯვრის წყალსაცავის ავსებას დაუფიძვა. ოთასობით ჰიდროშენებელი, ახლო-შორეული სოფლებიდან და დასავლეთ საქართველოს მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული მშრომელი შეიკრიბა აქ, რათა ბესალმებოდა გამარჯვებულებს. შრომის ფრესასწაულზე მშენებლებს ეწიენენ ამხანაგები ვ. კოლბინი, ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანდაზოვილებათა გამგეები ვ. ანდრონიკაშვილი, ბ. ბარსოკოვი, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, მთელი რიგი სამეკონომიკო-კულტურული და საპროფესიო ინსტიტუტების. საქართველოს კომპარტიის ოფიციალურ საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები, პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდგრენები. საქალაქო და რაიონული ალმასკომების თავმჯდომარეები. საქართველოს ჰიდროშენებლობის ლიტერანები.

ამ ფრონტზე ბრძოლა ფესვიანი ბრძოლა ენგურჰესების ბრიგადის ბრიგადირ ალ. ბაბაიანმა. ამ

# გაიხმიეს შენი დიდება კეთილი შრომის, წინსვლის...

კახოვკის მახლობლად ყორღანზე პირველი ცხენოსანი არმიის პატივსაცემად აღმართულია ძეგლი. ამ ადგილას ნახევარი საუკუნის წინათ პირველმა არმიამ გაარღვია ვრანგელელთა ფრონტი.

ვ. იაკუშევის ფოტო (საკ.ფსის ფოტოქრონიკა).

**საბჭოთა** უკრაინის სამოცი წელია. სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1917 წლის 25 დეკემბერს სრულიად უკრაინის საბჭოების პირველ ყრილობაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოცხადდა.

ექვსი ათეული წლის მანძილზე უკრაინელმა მშრომელებმა მშობლიური კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით უმაგალითო მწვერვალებს მიაღწიეს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში.

დღევანდელი უკრაინა — ეს არის მაღალგანვითარებული ინდუსტრიის, მოწინავე სოფლის მეურნეობის, მაღალი სოციალისტური კულტურის მქონე რესპუბლიკა.

დღევანდელი უკრაინა—ეს არის ელექტრონული, ელექტროტექნიკური, სალაზერო მრეწველობა, ინდუსტრიული ხარკოვი, კრივოი როგის სახელგანთქმული № 9 ბრძმედი და ა. შ. საბჭოთა ხელისუფლების დროს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 90-ჯერ გაიზარდა. ამჟამად უკრაინა ყოველწლიურად სამჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებს, ვიდრე მთელი საბჭოთა კავშირი აწარმოებდა ომამდელ. 1940 წელს. ეშშარიტად დიდი რევოლუცია მოხდა სოფლის მეურნეობაში. პროდუქციის წარმოება აქ სამჯერ და მეტად გაიზარდა.

რესპუბლიკის განვითარების საუკეთესო მაჩვენებელია კულტურის უმაგალითო აყვავება. რევოლუციამდელი უკრაინის მოსახლეობის სამმა მეოთხედმა წერა-კითხვა არ იცოდა. ახლა დიდი ხანია აქ მთლიანად მოისპო უწიგნურობა. სხვადასხვა ფორმის სწავლებაში ჩაბმულია 17 მილიონი კაცი, ფაქტიურად ყოველი მესამე სწავლობს. სტუდენტთა რაზმი შეადგენს 800 ათას კაცს. ეს 24-ჯერ აჭარბებს რევოლუციამდელ დონეს. უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც მრავალნენ 1919 წელს შეიქმნა, ამჟამად აერთიანებს 76 სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. რესპუბლიკაში მოღვაწეობს 175 ათასი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 50 ათასი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი უართოდ არის ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენცია მტკიცედ დგას პარტიულობისა და ხალხურობის, ცხოვრებისეული სიმართლისა და ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

დიან, დიდი წარმატებებით ეგებებიან სახელოვან იუბილეს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს უკრაინელი მშრომელები. ამ ახალი, თავისუფალი, აყვავებული უკრაინის შესახებ გთავაზობთ დღეს მოძმე რესპუბლიკისადმი მიძღვნილ გვერდში.



## ოქტომბრის საქმის ჭრიუმფი

ა. ვატჩენკო,
**უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.**

დიდ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, მიეწია სოციალური, ეკონომიკური და სულიერი აყვავებისათვის.

უკრაინელი ხალხის მატიანეში, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების საბჭოთა მატიანეში, პირველი ფურცელი დათარიღებული ზამთრის სასახლის შტურმის დღით. ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა აგრეთვე სრულიად უკრაინის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელიც 1917 წლის 24-25 დეკემბერს გაიმართა ხარკოვში. მან უკრაინა საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა და მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთთან საბჭოთა უკრაინის ფედერაციული კავშირის დამყარების შესახებ. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ოქტომბრის საქმის ნამდვილი ტრიუმფი.

უკრაინის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაძლიეს ექსპლოატატორთა გააფთრებული წინააღმდეგობა, გაანადგურეს შინაური კონტრრევოლუცია და უცხოელი ინტერვენტები. სრული იდეური და პოლიტიკური კრახი განიცადეს უკრაინელი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების 60 წელი — ეს არის დინამიკური მძლავრი აღმავლობის, პარტიის დროშის ერთგულების ექვსი ათეული წელი.

დიდი ოქტომბრის საქმის ლოგიკური განგრძობა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების აღმშენებლობითი შემოქმედების შედეგი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. უკრაინა სსრ კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გახდა და მომძე საბჭოთა ხალხების ამ კავშირში თავისი ბედნიერება პოვა.

თავის სახელოვან იუბილეს, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს, რესპუბლიკა შესანიშნავი მიღწევებით შეეგება. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 90-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა უკრაინა ახლა ყოველწლიურად უშვებს სამჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობა უშვებდა ომამდელ 1940 წელს. სოციალისტური ეკონომიკის მაღალგანვითარებელ სექტორად გადაიქცა სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა 1913 წელთან შედარებით სამჯერ და მეტად გაიზარდა. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს უკრაინელმა მიწათმოქმედებმა წლევანდელ საიუბილეო წელს. მათ მარცვლეულის რეკორდული მოლიანი მოსავალი მოიწიეს — 48,5 მილიონი ტონა და სამშობლოს ბეღლებში დაბინავეს 1 მილიარდ 127 მილიონი ფუთი პური, დაამზადეს 50,6 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი.

უკვე პირველი ხუთწლედების იმას, რაც უკრაინის ტალანტებს შეუქმნიათ.

**პარტიამ** უზრუნველყო ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი აყვავება და დაახლოება და ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის განუყოფელ კომპონენტად აქცია ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური პრინციპი — ყველას ზრუნვა თითოეული ეთნიკურ ეროვნებათა და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის.

ძალიან კარგად თქვა ეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა უკრაინის სს რესპუბლიკას ხალხთა მეგობრობის ორდენი გადასცა: „ფილ ჩვენს ქვეყანაში იცხოვრენ და პატივს სცემენ დონბასისა და კრივოი როგის მაღაროელებს, დნეპროსპეტროის მეტალურგებსა და ენერგეტიკოსებს, ჯეკვასა და ხარკოვის მანქანათმშენებლებს — საბჭოთა უკრაინის სახელოვან შრომითს ვეკრდიას. მისი თავდადებული შრომა მოსკოვისა და ლენინგრადის, ურალისა და ყაზაღანდის, — ყველა ჩვენი რესპუბლიკის, შაკი ზღვადან თეთრ ზღვამდე, ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე მუშათა შრომასთან ერთად ერწყმის საერთო მძლავრ ნაკადს, რომელიც განუწყვეტლივ ამრავლებს ჩვენი დიადი სამშობლოს ძალასა და დიდებას".

ორი წლის დაძაბულმა შრომამ თავისი შედეგები მოიტანა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გეგმას აღემატება. ეროვნული შემოსავალი ამ დროის მანძილზე 10 პროცენტით გაიზარდა, რაც შეესაბამება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. ამასთან ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით 90 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ეს მოწმობს მასების დიდ შრომითს აღმავლობას, მათს ერთგულებას პარტიის საქმისადმი, თავდადებას, რომლითაც ისინი შრომობენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ყველა ჩვენი წარმატება ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხისა და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის მუდმივი და უანგარო დახმარების შედეგია. ჩვენს ძალებს ათეულებს ერთიანი ოჯახის დიადი გრძნობა. ჩვენს გამარჯვებებსა და შრომითს მიღწევებს განუყოფელად ვუკავშირებთ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ, მიზანდასახულ საქმიანობას, რომელმაც უზრუნველყო ოქტომბრის გამარჯვება, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, საუკეთესოდ შეაკავშირა ჩვენი ხალხები ურღვევ კავშირად და გულდაჯერებით მიუძღვის მათ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

უკრაინელი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ საქმიანობას.

საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში ჩვენ მუდამ გავუფრთხილდებით და განვამტკიცებთ ჩვენს ინტერნაციონალურ ძმობას და ერთად ვიბრძოლებთ პარტიის დიადი საქმისათვის.



## უკრაინა დღეს

◆ **რესპუბლიკის** მოსახლეობა 49,3 მილიონს შეადგენს.

◆ **ყოველ** 10 დღეში მოქმედთა მწყობრში დგება ერთი სამრეწველო საწარმო, ყოველ სამ დღეში — საამქრო, ყოველდღე — ერთი ნაკადური, სამი მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი.

◆ **ერთ** დღეში რესპუბლიკაში იწარმოება 571 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. რევოლუციამდე უკრაინის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე ცოტათი თუ აღემატებოდა 300 ათას კილოვატს (დღეს ეს ხარკოვული წარმოების ერთი საშუალო ტურბინის სიმძლავრეა).

◆ **უკრაინაში** ერთ დღეში გამოდის 499 ავტომობილი, 385 ტრაქტორი, 97 ლითონსახვრელი ჩარხი, საქარხნო კონვეიერებიდან ჩამოდის 816 რადიომიმღები და რადიოლა, 6.490 ტელევიზორი, 1.679 საყოფაცხოვრებო მაცივარი.

◆ **რესპუბლიკის** სოფლის მეურნეობაში მუშაობს 382,9 ათასი ტრაქტორი, 81,7 ათასი მარცვლეულის ასალები კომბაინი, 290,2 ათასი სატვირთო ავტომობილი.

◆ **უკრაინაში** იყენებენ 1,6 მილიონ ჰექტარ სარწყავ და 1,8 მილიონ ჰექტარ დაშრობილ სახოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

◆ **ყოველდღიურად** რესპუბლიკაში რკინიგზის ტრანსპორტს გადაჰყავს 1,4 მილიონი, საავტომობილო ტრანსპორტს — 19,7 მილიონი და საჰაერო ტრანსპორტს — 34,6 ათასი მგზავრი.

◆ **აბგილების** რიცხვმა სანატორიუმებსა და დასასვენებელ დაწესებულებებში 450 ათასს გადააჭარბა. ყოველწლიურად იქ 8 მილიონზე მეტი კაცი ისვენებს. სასტუმროების, ავტოოტელების, კემპინგების ფართო ქსელი ხელს უწყობს 29 მილიონი კაცის საინტერესო დასვენების ორგანიზაციას მთელი წლის განმავლობაში.

◆ **ფიზიკულტურის** კოლექტივებში მეცადინეობს რესპუბლიკის 10.921.000 მცხოვრები. სპორტული მეცადინეობისათვის გამოყოფილია 848 სტადიონი, 19.700 ფეხბურთის მოედანი, 93.600 ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედანი, 12.000-ზე მეტი სპორტული დარბაზი.

(საკდფსი).



## ერიჭზე

**მე უპარტიო** გახლავართ, მაგრამ მოწმე ვარ 1917 წლის იმ მარადსახსოვარი მომენტებისა, როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მეჰდროდ ირაზმებოდნენ ბოლშევიკებიც და უპარტიოებიც. მე ვიყავი ლატვის პოლკის იმ ლეგენდარიის ჯარისკაცი, რომელმაც დიდი ოქტომბრის დღეებში იერიში მიიტანა ზამთრის სასახლეზე და დაამატრმრა დროებითი მთავრობა. შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვიბრძოდი პარტიის საქმის გამარჯვებისათვის, რადგან ეს ჩემი საქმეა, მთელი ხალხის საქმეა.

მე ბედნიერი ვარ, რომ შევხვარი ამ ღირსშესანიშნავ დღეებს, რომ ჩემი შვილები ცხოვრობენ ახალი, სისხლსავსე ცხოვრებით. მე ვიცი, რომ მხოლოდ ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შეგვეძლო ავგემრეხებინა და დაგვეძყვიდრებინა დღევანდელი ყოფა. ამიტომაც უსაზღვროდ მადლობელი ვარ მშობლიური კომუნისტური პარტიისა.

**ი. ჩერვონი,**
ზამთრის სასახლეზე იერიშის მონაწილე.

## ახალი მიკროორაიონი

**ჩერკასი.** დღითი დღე იზრდება და ლამაზდება რესპუბლიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა სოფლის ცენტრი — ჩერკასი. მიმდინარე საიუბილეო წელს ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ მიკროორაიონს.

მიკროორაიონის არქიტექტურულ ანსამბლის 9 და 14-სართულიანი სახლები შეადგენენ, აქ დაახლოებით 10 ათასი კაცი იცხოვრებს, მიკროორაიონის მეზობლად გაჩენილა ხალხთა მეგობრობის დიდი პარკი.

წლეულს ახალ მიკროორაიონში 500-დე ოჯახი ეზიარებს ახალმოსახლეობას.

**ნ. ტალალაი.**

## უხუცესი მცხოვრები

**ხერსონი.** თავისუფლების მოედანზე, ვ. ი. ლენინის ძეგლთან საზეიმო ვითარებაში გადაეცა ახალი პასპორტი ქალაქის უხუცეს მცხოვრებს ავროფინა ივანეს ასულ მალჩევსკაიას. იგი დაიბადა 1870 წლის 23 ივნისს. აღწარდა 8 შვილი.

ეს უხუცესი ქალი თავისი 107 წლის მიუხედავად მხნედ გრძნობს თავს, უსათვალოდ კითხულობს.

— ჩემი მშობლებიც ღრმად მოხუცები იყვნენ, როცა გარდაიცვალნენ, 90-90 წლისა, ხოლო ბებიაჩემმა 120 წელიწადს იცოცხლა — უთხრა კორესპონდენტს ი. მალჩევსკაიამ.

**ნ. ავრამენკო.**

## ჩვენი ბედნიერების ქალაქი

**მე** ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი. მასთან არის დაკავშირებული ჩემი ახალგაზრდობა, ცხოვრების საუკეთესო წლები. როცა ხარკოვის დიდებულ პროსპექტებზე, პარკებსა და სკვერებში ჩაივლი ხოლმე, მუდამ ვტკბები მათი სილამაზით. მაგრამ ჩემთვის, ისევე როგორც თითოეული ჭეელი მოქალაქისათვის, ჩემს მშობლიურ ხარკოვში არის განსაკუთრებით ძვირფასი ადგილები. ეს განსაკუთრებით ნათლად გრძნობ მის მაჯისცემას, ჩვენი ცხოვრების მწყობრ რიტმს. ერთ-ერთი ასეთი ადგილია საბჭოთა უკრაინის მოედანი. ღიდებულად აღმართულა აქ წითელი გრანიტის მონუმენტი. ფრიალებს რევოლუციური დროშა. ერთად გარინდულან მუშის, გლეხის, ჯარისკაცის, მატროსის, მშრომელი ქალის ფიგურები. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების აღსანიშნავად აღმართულ ამ მონუმენტთან თითქოს შერწყმოდეს ერთმანეთს ისტორია და თანამედროვეობა.

ქალაქში არის ჩემთვის კიდევ ერთი ძვირფასი ადგილი — მშობლიური ქარხანა შესასვლელი. ჩემი შრომითი ბიოგრაფია ემთხვევა ხარკოვის სტრაქტორო ქარხნის ისტორიას. მას შემდეგ, რაც ველზე პირველი პალოები ჩასვეს, თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. ღირსშესანიშნავი თარიღი: 1931 წლის პირველ ოქტომბერს კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ტრაქტორი. მთელ მსოფლიოს მოეფინა მაშინ ცნობა: „რეკორდულად მოკლე ვადებში ტრაქტორმშენებლებმა ააგეს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა". ჩემთვის, ისევე როგორც ყოველი სხვა მოქალაქისათვის, ვინც თავისი ხელით აახლოებდა სასიხარულო მოვლენას, ეს უდიდესი პირადი ღესასწაული იყო.

გავიდა წლები. ძველ წარმატებებსა და მიღწევებს ახალი ცალიდა. 1935 წლის აპრილში მექანიკური საამწყობო საამქროდან გამოვიდა მეასეათასე ტრაქტორი.

დაიწყო ომი, და პირველი დღეებიდანვე ფრონტზე წავიდა ათასობით ხარკოველი, მათ შორის ტრაქტორმშენებლებიც. მე იმათ შორის ვიყავი, ვინც გამარჯვებას ზურგში ველდა: ვმუშაობდი ჩემკენტის ერთ-ერთ ქარხანაში. როცა ხარკოვში დაბრუნდი, მშობლიური ქარხანა ვეღარ ვიცანი: მხოლოდ ნანგრევებიღა დამხვდა. საამქროთა ადგილებში მთელი ქვეყანა გეეხმარებოდა.

ომამდელ ექვსი წლისაა მშობლიური ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა. მაგრამ იგი ახლაც ახალგაზრდაა, როგორც იმ დაუვიწყარ წლებში.

**ვ. ჩმილი,**
ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი.



**ფოტოინფორმაცია**

**უკრაინა** დღეს მძლავრი მრეწველობის და მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. და ყოველივე, რასაც რესპუბლიკის ზურგში ველდა: ვმუშაობდი ჩემკენტის ერთ-ერთ ქარხანაში. როცა ხარკოვში დაბრუნდი, მშობლიური ქარხანა ვეღარ ვიცანი: მხოლოდ ნანგრევებიღა დამხვდა. საამქროთა ადგილებში მთელი ქვეყანა გეეხმარებოდა.

ორმოცდაექვსი წლისაა მშობლიური ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა. მაგრამ იგი ახლაც ახალგაზრდაა, როგორც იმ დაუვიწყარ წლებში.

**ს ურ ა თ ებ ზ ე:** ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპროჰიდროელექტროსადგური; პოლესიური პური (ქვემოთ).

საკდფსის ფოტოქრონიკა.

## უკრაინა დღეს

● **უკრაინის** სსრ დროშაზე ოთხი ორდენი ბრწყინავს: ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები.

● **საბჭოთა** ხელისუფლების წლებში უკრაინის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 90-ჯერ გადიდდა.

● **მეცხრე** ხუთწლედში უკრაინის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მომზადდა 1 მილიონ 741 ათასი სპეციალისტი, 369 ათასით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

● **რესპუბლიკის** ყოველ 10 ათას მცხოვრებზე 171 სტუდენტია (დიდ ბრიტანეთში — 88, გფრ-ში — 67).

● **უკრაინის** სასწავლებლებში უმაღლეს და საშუალო განათლებას იღებს მსოფლიოს 100 ქვეყნის 12 ათასი მოქალაქე.

● **რესპუბლიკაში** ამჟამად 78 პროფესიული თეატრია. მეცხრე ხუთწლედში მათს სპექტაკლებს 90 მილიონი კაცი დაესწრო.

● **5.962 კულტურის** უნივერსიტეტში 1 მილიონ 386 ათასი კაცი სწავლობს, მსმენელთა ნახევარი ახალგაზრდობაა.

● **უკრაინის** სს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ასამბლეის წევრი და კიდევ 15 საერთაშორისო, სამთავრობათშორისო ორგანიზაციის წევრია.



## უკრაინა დღეს

◆ **რესპუბლიკის** მოსახლეობა 49,3 მილიონს შეადგენს.

◆ **ყოველ** 10 დღეში მოქმედთა მწყობრში დგება ერთი სამრეწველო საწარმო, ყოველ სამ დღეში — საამქრო, ყოველდღე — ერთი ნაკადური, სამი მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი.

◆ **ერთ** დღეში რესპუბლიკაში იწარმოება 571 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. რევოლუციამდე უკრაინის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე ცოტათი თუ აღემატებოდა 300 ათას კილოვატს (დღეს ეს ხარკოვული წარმოების ერთი საშუალო ტურბინის სიმძლავრეა).

◆ **უკრაინაში** ერთ დღეში გამოდის 499 ავტომობილი, 385 ტრაქტორი, 97 ლითონსახვრელი ჩარხი, საქარხნო კონვეიერებიდან ჩამოდის 816 რადიომიმღები და რადიოლა, 6.490 ტელევიზორი, 1.679 საყოფაცხოვრებო მაცივარი.

◆ **რესპუბლიკის** სოფლის მეურნეობაში მუშაობს 382,9 ათასი ტრაქტორი, 81,7 ათასი მარცვლეულის ასალები კომბაინი, 290,2 ათასი სატვირთო ავტომობილი.

◆ **უკრაინაში** იყენებენ 1,6 მილიონ ჰექტარ სარწყავ და 1,8 მილიონ ჰექტარ დაშრობილ სახოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

◆ **ყოველდღიურად** რესპუბლიკაში რკინიგზის ტრანსპორტს გადაჰყავს 1,4 მილიონი, საავტომობილო ტრანსპორტს — 19,7 მილიონი და საჰაერო ტრანსპორტს — 34,6 ათასი მგზავრი.

◆ **აბგილების** რიცხვმა სანატორიუმებსა და დასასვენებელ დაწესებულებებში 450 ათასს გადააჭარბა. ყოველწლიურად იქ 8 მილიონზე მეტი კაცი ისვენებს. სასტუმროების, ავტოოტელების, კემპინგების ფართო ქსელი ხელს უწყობს 29 მილიონი კაცის საინტერესო დასვენების ორგანიზაციას მთელი წლის განმავლობაში.

◆ **ფიზიკულტურის** კოლექტივებში მეცადინეობს რესპუბლიკის 10.921.000 მცხოვრები. სპორტული მეცადინეობისათვის გამოყოფილია 848 სტადიონი, 19.700 ფეხბურთის მოედანი, 93.600 ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედანი, 12.000-ზე მეტი სპორტული დარბაზი.

(საკდფსი).

## ოქტომბრის საქმის ჭრიუმფი

ა. ვატჩენკო,
**უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.**

დიდ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, მიეწია სოციალური, ეკონომიკური და სულიერი აყვავებისათვის.

უკრაინელი ხალხის მატიანეში, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების საბჭოთა მატიანეში, პირველი ფურცელი დათარიღებული ზამთრის სასახლის შტურმის დღით. ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა აგრეთვე სრულიად უკრაინის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელიც 1917 წლის 24-25 დეკემბერს გაიმართა ხარკოვში. მან უკრაინა საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა და მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთთან საბჭოთა უკრაინის ფედერაციული კავშირის დამყარების შესახებ. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ოქტომბრის საქმის ნამდვილი ტრიუმფი.

უკრაინის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაძლიეს ექსპლოატატორთა გააფთრებული წინააღმდეგობა, გაანადგურეს შინაური კონტრრევოლუცია და უცხოელი ინტერვენტები. სრული იდეური და პოლიტიკური კრახი განიცადეს უკრაინელი ხალხის უბოროტესმა მტრებმა — ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების 60 წელი — ეს არის დინამიკური მძლავრი აღმავლობის, პარტიის დროშის ერთგულების ექვსი ათეული წელი.

დიდი ოქტომბრის საქმის ლოგიკური განგრძობა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების აღმშენებლობითი შემოქმედების შედეგი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. უკრაინა სსრ კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გახდა და მომძე საბჭოთა ხალხების ამ კავშირში თავისი ბედნიერება პოვა.

თავის სახელოვან იუბილეს, უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს, რესპუბლიკა შესანიშნავი მიღწევებით შეეგება. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 90-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა უკრაინა ახლა ყოველწლიურად უშვებს სამჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობა უშვებდა ომამდელ 1940 წელს. სოციალისტური ეკონომიკის მაღალგანვითარებელ სექტორად გადაიქცა სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა 1913 წელთან შედარებით სამჯერ და მეტად გაიზარდა. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს უკრაინელმა მიწათმოქმედებმა წლევანდელ საიუბილეო წელს. მათ მარცვლეულის რეკორდული მოლიანი მოსავალი მოიწიეს — 48,5 მილიონი ტონა და სამშობლოს ბეღლებში დაბინავეს 1 მილიარდ 127 მილიონი ფუთი პური, დაამზადეს 50,6 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი.

**ეროვნული** ბიბლიოთეკა

## ეროვნული ბიბლიოთეკა



კახოვკის მახლობლად ყორღანზე პირველი ცხენოსანი არმიის პატივსაცემად აღმართულია ძეგლი. ამ ადგილას ნახევარი საუკუნის წინათ პირველმა არმიამ გაარღვია ვრანგელელთა ფრონტი.

ვ. იაკუშევის ფოტო (საკ.ფსის ფოტოქრონიკა).

## ერიჭზე

**მე უპარტიო** გახლავართ, მაგრამ მოწმე ვარ 1917 წლის იმ მარადსახსოვარი მომენტებისა, როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მეჰდროდ ირაზმებოდნენ ბოლშევიკებიც და უპარტიოებიც. მე ვიყავი ლატვის პოლკის იმ ლეგენდარიის ჯარისკაცი, რომელმაც დიდი ოქტომბრის დღეებში იერიში მიიტანა ზამთრის სასახლეზე და დაამატრმრა დროებითი მთავრობა. შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვიბრძოდი პარტიის საქმის გამარჯვებისათვის, რადგან ეს ჩემი საქმეა, მთელი ხალხის საქმეა.

მე ბედნიერი ვარ, რომ შევხვარი ამ ღირსშესანიშნავ დღეებს, რომ ჩემი შვილები ცხოვრობენ ახალი, სისხლსავსე ცხოვრებით. მე ვიცი, რომ მხოლოდ ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შეგვეძლო ავგემრეხებინა და დაგვეძყვიდრებინა დღევანდელი ყოფა. ამიტომაც უსაზღვროდ მადლობელი ვარ მშობლიური კომუნისტური პარტიისა.

**ი. ჩერვონი,**
ზამთრის სასახლეზე იერიშის მონაწილე.

## ახალი მიკროორაიონი

**ჩერკასი.** დღითი დღე იზრდება და ლამაზდება რესპუბლიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა სოფლის ცენტრი — ჩერკასი. მიმდინარე საიუბილეო წელს ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ მიკროორაიონს.

მიკროორაიონის არქიტექტურულ ანსამბლის 9 და 14-სართულიანი სახლები შეადგენენ, აქ დაახლოებით 10 ათასი კაცი იცხოვრებს, მიკროორაიონის მეზობლად გაჩენილა ხალხთა მეგობრობის დიდი პარკი.

წლეულს ახალ მიკროორაიონში 500-დე ოჯახი ეზიარებს ახალმოსახლეობას.

**ნ. ტალალაი.**

## უხუცესი მცხოვრები

**ხერსონი.** თავისუფლების მოედანზე, ვ. ი. ლენინის ძეგლთან საზეიმო ვითარებაში გადაეცა ახალი პასპორტი ქალაქის უხუცეს მცხოვრებს ავროფინა ივანეს ასულ მალჩევსკაიას. იგი დაიბადა 1870 წლის 23 ივნისს. აღწარდა 8 შვილი.

ეს უხუცესი ქალი თავისი 107 წლის მიუხედავად მხნედ გრძნობს თავს, უსათვალოდ კითხულობს.

— ჩემი მშობლებიც ღრმად მოხუცები იყვნენ, როცა გარდაიცვალნენ, 90-90 წლისა, ხოლო ბებიაჩემმა 120 წელიწადს იცოცხლა — უთხრა კორესპონდენტს ი. მალჩევსკაიამ.

**ნ. ავრამენკო.**

## უკრაინა დღეს

● **უკრაინის** სსრ დროშაზე ოთხი ორდენი ბრწყინავს: ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები.

● **საბჭოთა** ხელისუფლების წლებში უკრაინის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 90-ჯერ გადიდდა.

● **მეცხრე** ხუთწლედში უკრაინის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მომზადდა 1 მილიონ 741 ათასი სპეციალისტი, 369 ათასით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

● **რესპუბლიკის** ყოველ 10 ათას მცხოვრებზე 171 სტუდენტია (დიდ ბრიტანეთში — 88, გფრ-ში — 67).

● **უკრაინის** სასწავლებლებში უმაღლეს და საშუალო განათლებას იღებს მსოფლიოს 100 ქვეყნის 12 ათასი მოქალაქე.

● **რესპუბლიკაში** ამჟამად 78 პროფესიული თეატრია. მეცხრე ხუთწლედში მათს სპექტაკლებს 90 მილიონი კაცი დაესწრო.

● **5.962 კულტურის** უნივერსიტეტში 1 მილიონ 386 ათასი კაცი სწავლობს, მსმენელთა ნახევარი ახალგაზრდობაა.

● **უკრაინის** სს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ასამბლეის წევრი და კიდევ 15 საერთაშორისო, სამთავრობათშორისო ორგანიზაციის წევრია.

## მეგობრობის გზებით

„მზის შადრევნები" — ასე უწოდა თბილისის უნივერსიტეტთან არსებულმა კლუბმა „უკრაინამ" მიკოლა ბაჟანის ლექსთა კრებულს, და ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება არა მარტო ბაჟანის შემოქმედებას, არამედ საერთოდ საბჭოთა ხალხების ლიტერატურას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამოზეიმა ხალხთა მეგობრობის მზის შადრევნებად.

მზის ათასფრად აციმციმებული ამ შადრევნებში თავისი გამორჩეული ადგილი აქვს უკრაინელი და ქართველი ხალხების ლიტერატურულ თანამგზობრობას, რომელიც ათასამდე წელს ითვლის.

უკრაინასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩვენი ხალხების კულტურული

## საქმელი

# მსოფლიოს ამბები

**ტელეტაიპი გადმოგვცემს**

## შეწყდეს გამალებული შეიარაღება!

### ამერიკელ მეცნიერთა მოწოდება

**ვაშინგტონი.** 21 დეკემბერი. (საქდესი). **შეერთებულ შტატებში ძლიერდება პროტესტები პენტაგონისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერების წინააღმდეგ.** ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სისტემების შექმნის გეგმები დაგმო თავის გამოსვლაში „შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირმა" — ორგანიზაციამ, რომელიც 45 ათას კაცს აერთიანებს თავის რიგებში. მათ შორის არიან მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები. კავშირმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, მთელ ამერიკელ ხალხს მიმართა მოწოდებით გააქტიურონ ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის.

დეკლარაციას ხელი მოაწერა კავშირის 12.000-ზე მეტმა წევრმა, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატებმა ლ. პოლინგმა, გ. ბეტემ, დ. გლეზერმა, ო. ჩემბერლენმა, გ. იურომ, აგრეთვე ცნობილმა ეკონომისტმა ჯ. ჰელბრეიტმა და ყოფილმა სენატორმა, ამჟამად დიპლომატმა უ. ფულბრაიტმა.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ „გამალებული შეიარაღებასადმი კონტროლი კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო ამოცანაა". ამასთან დაკავშირებით „შეშფოთებულ მეცნიერთა კავშირი მკაცრად აკრიტიკებს შეერთებული შტატების მოქმედებას. ამერიკის შეერთებული შტატები, აღნიშნავს იგი, ქმნის საკონტინენტთაშორისო რაკეტა „მ"-ს, ნეიტრონულ იარაღს, ფრთიან რაკეტებსა და სხვა სისტემების იარაღს. ყოველივე ეს გაანელებს, შეიძლება ითქვას შეუძლებლად გახდის მომავალ შეთანხმებათა განხორციელებას კონტროლის დარგში.

მეცნიერები აცხადებენ, რომ „ახლა უფრო ვიდრე ოდესმე, საჭიროა შევანელოთ და სამხლოო ანგარიშით შევაჩეროთ გამალებული ატომური შეიარაღება, საფუძველი ჩავუყაროთ უზარმაზარი ატომური არსენალების შემცირებას".

## ახლო აღმოსავლეთი

# აჩქარებენ სეპარატულ გარიგებას

**ტელ-ავივი** ვაშინგტონის აქტიური მონაწილეობით აჩქარდა კაიროსთან სეპარატული ძეთანხმების დადებას იაეთი პირობებით, რომლებსაც არა აქვთ რა საერთო ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამდელ ყოველმხრივ მოწესრიგებასთან. ამასთან იგი სრულიად უგულებელყოფს ეგვიპტეში ჩავიდა ისრაელის თავდაცვის მინისტრი ვეიცმანი. მან 5 საათიანი მოლაპარაკება გამართა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრთან და სამხედრო მრეწველობის მინისტრთან ალ-გამასისთან, ხოლო შემდეგ შეხვდა პრეზიდენტს ა. სადათს. პრესის აზრით, ეს შეხვედრა მოწმობს ორმხრივი კონტაქტების შემდგომ გაძლიერებას ისრაელსა და ეგვიპტეს შორის. ფრანგული გაზეთი „მატენი" აფასებს რა ეგვიპტეში ისრაელის მინისტრის ვიზიტს როგორც „სხვა არაბული ქვეყნების შანტაჟს", როგორც ცდას აიძულოს ისინი, მონაწილეობა მიიღონ კაიროს მოლაპარაკებაში იმ მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ეგვიპტე აუცილებლად დადებს სეპარატულ გარიგებას.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბეგინი ტელ-ავივში დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერთან მოლაპარაკების შემდეგ და ახლა ემზადება საბოლოოდ მოლაპარაკებისათვის. მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მზად არის ხელი მოაწეროს კაიროსთან სეპარატულ შეთანხმებას. განმარტა რა თავისი გეგმა — ეგვიპტოდან ამოღებული ავტონომიის მინიჭება პალესტინელებისათვის მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში, მან ხაზი გაუსვა, რომ ამ გეგმის განხორციელებას არავითარ შემთხვევაში არ მოყვება პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. შატიმ განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში კრიზისის მოწესრიგების ბეგინის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და იერუსალიმის არაბულ ნაწილში ისრაელის ყოფნას, სინამდვილეში ძალიან შორს არის ზავის დამყარებისაგან. არცერთ არაბს, თქვა მან, არ შეუძლია მიიღოს იგი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ყოველისმომცველი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში უნდა ემყარებოდეს პრინციპებს, რომლებიც არაბული სახელმწიფოების შეთაურებმა მოიწონეს რაბათისა და ალკირის თათბირებზე, ე. ი. უნდა ითვალისწინებდეს ისრაელის ჯარების გაყვანას ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან, პალესტინის დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნას და იერუსალიმის ძველი ნაწილის დაბრუნებას არაბებისათვის.

(საქდესი. 21 დეკემბერი).

## მოკლედ

### ყოველი ესრიდან

#### უეფექტო ცდები

● **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება საძიებელი დაქვეითება. როგორც ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, მომდინარე წლის მეექვსე კვარტალში ქვეყნის საყარმოო სიმძლავრეები გამოყენებული იყო მხოლოდ 82 პროცენტით. ეს 2 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე წინა კვარტალში.

სამინისტრომ მონაცემებს სპეციალისტები აფასებენ როგორც იმის მორიგ დადასტურებას, რომ ვაშინგტონის ცდები მიაღწიოს ქვეყნის ეკონომიკის „გაჯანსაღებას" ეფექტს არ იძლევა.

#### ოპეკის კონფერენცია

● **კარაკასი.** ვენესუელის საკურორტო ქალაქ კარაბალიეტში მიმდინარეობს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) 50-ე კონფერენცია. მის დღის წესრიგში მთავარი ადგილი უკავია 1978 წლის ნავთობის ფასის საკითხს.

ოპეკის წევრთა ძირითადი ნაწილი მხარს უჭერს ნავთობის ფასების გადიდებას იმისათვის, რომ აიხსნაურონ ზარალი, რომელიც მათ მოსდით დოლარის გაუფასურებისა და განვითარებული ქვეყნებიდან მათ მიერ შემოტანილი სამრეწველო და სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდის შედეგად.

#### მთავრობის პოპულარობა ეცემა

● **ტოკიო.** გრძელდება მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მთავრობის პოპულარობის დაცემა იაპონიის მოსახლეობაში. გაზეთ „მაინიჩის" მიერ დეკემბრის დამდეგს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად მინისტრთა ახალ კაბინეტს ტ. ფუკუდას მეთაურობით ხმა მისცა გამოკითხულთა მხოლოდ 22 პროცენტმა. დანარჩენებმა გამოთქვეს იმედგაცრუება კონსერვატორთა ეკონომიკური პოლიტიკის გამო.

# ხუნტა ტერორს აძლიერებს

**ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საქდესი). ცდილობს რა ჩაახშოს ჩილეში მზარდი მოძრაობა ფეხქვეშ გათელილ დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენისათვის, პინოჩეტის სამხედრო-ფაშისტური ხროვა აძლიერებს სისხლიან ტერორსა და რეპრესიებს.**

ამ დღეებში ხუნტის მეთაურებმა დაპატიმრეს რამდენიმე ჟურნალისტი და ინტელიგენციის წარმომადგენელნი, რომლებიც რეჟიმს აკრიტიკებდნენ. მანამდე სამხედრო ხელისუფლებამ საპატიმროში ჩასვეს მთელი რიგი პროფკავშირული მოღვაწეები, მათ შორის ნავსადგურის მუშათა, ფოლადის მსხმელთა, სამთამადნო მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ხელმძღვანელები, რომლებსაც წაუყენეს „ძრომის დისციპლინის დარღვევისა" და აკრძალულ ოპოზიციურ პარტიებთან „თანამშრომლობის" ბრალდება".

აქ მიღებული ცნობებით, ჩილეში კვლავ უგზოუკვლოდ „ქრებიან" ადამიანები. აკრძალულია პროფკავშირების საქმიანობა, გაფიცვების მოწყობა, ძლიერდება ცენზურა ნაბეჭდ გამოცემათა პუბლიკაციისა და გავრცელებაზე.

# ჩინეთის საძრახისი როლი

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ახლახან დამთავრებულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 32 სესიამ ცხადყო, ჩინეთი არ ეტყს ოპსტრუქციონისტულ საქმიანობას, რათა ჩაშალოს საერთაშორისო გაერთიანებას დონისძიებანი, რომლებაც იგი ამორციელებს ხალხთა იდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, დაძაბულობის შენელებ-

პროცესის გაღრმავებისათვის, — პირს კრავს იმპერიალიზმისა და ქციის ძალებთან.

ელა პოზიტიური ინიციატივა, ლებიც მიზნად ისახავენ ატომური ა დაუშვებლობას, ქვეყნად მშვიდ და დამკვიდრების უზრუნველყოფ-

მყისგე აწყდება ჩინეთის სახალ-ესპუბლიკის დელეგაციის მკვეთრ ალმდეგობას. თავად პეკინის წარადგენლებს კი ჯერ არც ერთი ტრუქციული წინადადება არ შეტანიათ.

ნსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინ ჩინეთის ძირავმომთხრელი როროცა იხილავდნენ გამალებული ალაგმვისა და განიარაის საკითხებს. ჩინეთის წარმომალებმა მხარი არ დაუჭირეს არც რეზოლუციას 20-ზე მეტიდან, ებიც ეხებოდა განიარაღებას, რომლებიც ხმის დიდი უმრავლეთ მოიწონა გაერთიანებული ერერგანიზაციის გენერალური ასამს პირველმა კომიტეტმა.

ერთიანებული ერების ორგანიზაწევრ სახელმწიფოთა აბსოლუ-ა უმრავლესობამ, მათ შორის თარებადმა და მიუხრობელმა ებმა, მოიწონეს საბჭოთა კავშინაწადადებანი, რომლებიც მიზნად ვენ საერთაშორისო დაძაბულობ-შენელების ვაღრმავება-გაპმტკიცებასა და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

განიარაღების მთელ რიგ სხვა პრობლემებზე, კერძოდ, ისეთ საკითხებზე კენჭისყრისას, როგორიცაა საყოველთაო და სრული განიარაღება, ქიმიური (ბიოლოგიური) იარაღის აკრძალვა, ახალ სახეობათა და სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის შემუშავებისა და წარმოების აკრძალვა, — ჩინეთის დელეგაციამ, შემდგომი იზოლაციის შიშით, თავისი ჩვეული ხრიკი იხმარა და მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში.

დაადგნენ რა ომის საფრთხის პოტენციური კერების შენარჩუნების, დაძაბულობის შენელების ჩაშლის კურსს, ჩინეთის ხელმძღვანელებს ძონაწილეობა არ მიუღიათ არც ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული რეზოლუციების გამო. გამართულ კენჭისყრაში, და სულ იმას იმეზეგდნენ, ჩვენ ენენების საზავო კონფერენციის მოწვევის იდეას მხარს ვერ დავუჭერთო.

ჩინეთის პოზიცია აქ შეაფასეს როგორც ისრაელისა და მისი მფარველების აგრესიული კურსის აშკარა მხარდაჭერა. რეზოლუცია 102 სახელმწიფომ მოიწონა. წინააღმდეგ მისცეს ხმა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის წარმომადგენლებმა. ჩინეთმა უარი თქვა მხარი დაეჭირა გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებისათვის, რომ უზრუნველყონ პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის უფლებები, რის წინააღმდეგაც მისცეს ხმა აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა.

საძრახის პოზიციას დაადგა პეკინელი დელეგატი კვიპროსის საკითხშიც. მის ცილისმწამებლურ ანტისაბჭოურ მონაჩმახში აშკარად გამოსჭვიოდა მისწრაფება, რომ კვიპროსი ნატოს ჩაუგდოს საჯიჯგნად ხელში.

ჩინეთი აღმოჩნდა იმ ყველაზე რეაქციული და პირსისხლიანი რეჟიმების ბანაკში, რომლებმაც უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ იმ რეზოლუციის კენჭისყრაში, გულისწყრომით რომ ვმობს ჩილელ ჯალათებს. ჩილეში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ რეზოლუციაა ხმა მისცა 98 ქვეყანამ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლისა და პინოჩეტის დანშალებრივი რეჟიმის ალიანსმა სესიის დელეგატთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

ჩინეთის წარმომადგენლებს ეპაც კი არ მოუბრუნდათ აფრიკის სამხრეთში არსებული რასისტული კოლონიური რეჟიმების დასაგმობად. მათ არ მიუღიათ მონაწილეობა კენჭისყრაში მთელ რიგ რეზოლუციებზე, რომლებიც რასიზმსა და აპარტეიდს გმობენ.

ჩინეთის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ცილისწამებლურ კამპანიას ეწევიან ამ ორგანიზაციის აბრალებენ „კოლონიალიზმს", „პატარა და საშუალო ქვეყნების დამონებას" და ა. შ. ამ ბრძოლაზე თავდასხმების მიზანი ერთია — ჩამოაშორონ მსოფლიო გაერთიანების ყურადღება იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, რასიზმის წინააღმდეგ ხალხთა პრინციპულ სამართლიან ბრძოლასა და იმ მხარდაჭერას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები რომ უწევენ ამ ბრძოლას.

მაგრამ, როგორც 32-ე სესიის მუშაობის მიმდინარეობამ ცხადყო საერთაშორისო გაერთიანება ვერ-ვერით გმობს დაძაბულობის შენელების პეკინელ მოწინააღმდეგეთა ხრიკებს, რომლებიც მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

# ძველი ფოლიანტების მესაიდუმლე

**საქართველოს** სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ილენი მეტრეველის საკვლევაძიებო სარბიელია ძველი ქართული მწერლობის სფერო. ე. მეტრეველის მოღვაწეობამ ჯერ საქართველოს მუზეუმში, ხოლო შემდეგ ხელნაწერთა სამეცნიერო-კვლევითს ინატიტუტში მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი მოშაობის ხასიათი. ამჟამად იგი უნარმაზად უძღვება ამ რთულ, კომპლექსურ სამეცნიერო დაწესებულებას. სადაც თავმოყრილია ჩვენი ერის უძველესი სულიერი განძი.

ე. მეტრეველის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდების მეცნიერული აღწერა. როგორც დაფილოლოგიბულმა ტექსტოლოგმა, ე. მეტრეველმა მაღალ მეცნიერულ დონეზე მოამზადა და გამოაქვეყნა რამდენიმე პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლი. ამ მხრივ სანიეფოა მისი პუბლიკაცია — „ძლისპირნი და ლმრთისმშობლისანი". ეს მონუმენტური ძეგლი გამოცემულია X-XI საუკუნეების ხელნაწერთა მიხედვით, ახლავს სრული მეცნიერული აპარატი, ისტორიულ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ვრცელი საფუძვლიანი გამოკვლევა. ამ ძეგლის გამოცემას ჩაეჩსოვა ე. მეტრეველმა თავისი უზადო ნიჭი, დიდი შრომა და ენერგია. ამ შეჯამებული შედეგები იმ ინტენსიური კვლევა-ძიებისა, რომელსაც ე. მეტრეველი წლების მანძილზე ეწეოდა ძველი ქართული საგალობლების ანა ჰიმნოგრაფიული. პოეზიის შესასწავლად. ე. მეტრეველმა გაარკვია საგალობლების ბევრი რთული საკითხი, გამოავლინა და მოიპოვა მანამდე უცნობი ტექსტები, აღმოაჩინა უცნობი ჰიმნოგრი ბასილი ბაგრატეს ძე, რომელსაც შეეთხზავს ეკლესიამე ითხოვლის საგალობები.

ე. მეტრეველმა დაწვრილებით გამოიკვლია ძლისპირების უძველესი ქართული ძეგლები, შეუპირისპირა ისინი ბიზანტიურ წყაროებს და ორიგი მხარისათვის, ქართულისა და ბერძნულისათვის, საგალობლმა დასკვნები გამოიტანა. ე. მეტრეველმა დაასაბუთა, რომ ძლისპირთა უძველესი ქართული რედაქცია ადრეფეოდალურ ეპოქაში, კერძოდ, საბაწმინდის მწიგნობარმა ეფრემ IX საუკუნის დასასრულსა და X საუკუნის დასაწყისში. ქართული რედაქცია შექმნილია ბერძნული მოდელის მიხედვით, მასალად გამოყენებულია ადრე თარგმნილ საგალობლებთა ძლისპირები, მაგრამ ქართული რედაქცია სრულიად არ წარმოადგენს ბერძნული წყაროების (ირმოლოგიონის) უბრალო თარგმანს. ძლისპირთა ქართული რედაქციები თავის მხრივ თვითთნეული საოცარი წყარო ბერძნული ირმოლოგიონის საკითხების შესასწავლად. ე. მეტრეველის დამსახურებაა თავისთავადი საბაწმინდური ქართული ჰიმნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებისა და მისი ისტორიულ-კულტურული როლის გარკვევა.

მემთხვევითი არ არის, რომ ე. მეტრეველის გამოკვლევამ და პუბლიკაციამ („ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი") დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, ბიზანტიური და სლავური ჰიმნოგრაფიის სპეციალისტთა შორის.

დიდია ე. მეტრეველის დამსახურება პალესტინისა და შავი მთის ქართული კოლონიური კერების შესასწავლად. პალესტინის კერების შესწავლის შედეგებმ ძირითადად თვალყური-ება მას შესანიშნავ ნაშრომში „იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის მასალები XI-XVII სს. (ტექსტები და გამოკვლევა". 1962). ბოლო დროს, 1975-1976 წლებში, გამოქვეყნებული გამოკვლევებით („შუპანის ოდებნო — XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში", „ფერეიდნელი და ფერეთფას ხელნაწერების ირგვლივ") მან გაგვაცნო პალესტინის კიდევ ორი ქართული მწიგნობრული კერის საქმიანობა. პალესტინური მასალების გამოყენებას ყველაზეთვისთან ერთად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიის ზოგი საკვანძო საკითხის გადასაწყვეტად. ადრე, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსავლის" შესავალი წერილით (თბილისი, 1956), ხოლო შემდეგ სპეციალური ნაშრომით „შენიშვნები მოთა მეჩიერჩლეთუხუცესის ალაპისა და მოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ" (1961) ე. მეტრეველმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა პოეტ მოთა რუსთაველისა და მოთა მეჩიერჩლეთუხუცესის ოდენტურობის თვალსაზრისს. ე. მეტრეველმა პირველმა გაარკვია, რომ მოთა მეჩიერჩლეთუხუცესის მოსახსენებელი XIII საუკუნისაა. ნაშრომი „შავი მთის სამწერლო კერის ისტორიისათვის XI ს. პირველ ნახევარში" ე. მეტრეველმა გარკვევა შავი მთის მანამდე უცნობი ქართული სამწიგნობრო კერისა და მონასტრის არსებობა, დაადგინა იქაური მაშენებლისა და მწიგნობართა ვინაობა. მკვლევარმა გამოაკლინა შავი მთის განთქმული ქართველი მწიგნობრის თეოლოგოს-ფილოსოფოსის ეფრემ მცირის ალეგორიული ხელნაწერი და რამდენიმე ჰომილეტიკური ტექსტი. ე. მეტრეველმა გამოიძია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ალეგორიული ნუსხა.

ძველი ქართული მხატვრული მწერლობის საკითხებს ეძღვნება ე. მეტრეველის ნაშრომები „მხატვრული მწერლობა ალასელი ერის ყარო ძეგლებში", „ერადენიმე საკითხი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული — ესთეტიკიდან", „ალექსანდრეს ქების ობიექტი" — ეს ... ეტრეველის ... ... ...